ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ციცინო ცხვედიანი – კოლეგიის თავმჯდომარე

გოჩა სვანიძე – კოლეგიის წევრი

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის წევრი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 11. 12. 2014

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 016/14

შეკითხვა:

ირღვევა თუ არა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები, როდესაც ერთ-ერთი იურიდიული ფირმის ფეისბუქ გვერდზე, მომხარებლისათვის გასაცნობად, საჯაროდ, გამოქვეყნებულია შემდეგი შინაარსის განცხადებები: (გიდგენთ სრული განცხადების ამონარიდებს)

„რა გავაკეთოთ ბანკთან პრობლემების დროს? პირველ რიგში მოგვმართეთ ჩვენ. ჩვენ ზუსტად ვიცით რისი უფლება აქვს ბანკს კანონით. ჩვენ ვიცით, რა ტიპის ხელშეკრულებები ფორმდება ბანკთან სესხების დროს, როგორია იპოთეკის ხელშეკრულებები. შესაბამისად ჩვენ ვიცით ის წესები, რომელთა დაცვით შეუძლია მოითხოვოს ბანკმა ხელშეკრულებების შესრულება.“

„ჩვენი გუნდი დეტალურად შეისწავლის საქმეს, თუ აუცილებელია დამატებით შეაგროვებს მტკიცებულებებს, დაიწყებს მოლაპარაკებებს მოპასუხე მხარესთან და მოამზადებს სასამართლო სტრატეგიას, რომელიც იქნება საუკეთესო გამოსავალი და მომავალი მოგების საწინდარი.“

„საუკეთესო იურისტები“

„ჯგუფის შემადგენლობაში ყოველთვის შედის ადვოკატი ფინანსური განათლებით, რაც ფინანსური დავების მოგების საწინდარია.“

„თუ გჭირდებათ საუკეთესო ადვოკატები სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ დავებში.“

„The best lawyers of Georgia“

„თქვენს ინტერესებს დაიცავს პროფესიონალი იურისტები, რომლებიც გარდა იმისა, რომ თავისი საქმის საუკეთესო სპეციალისტები არიან.“

გთხოვთ, შეაფასოთ აღნიშნული ფრაზების აღნიშნულ კონტექსტში გამოყენება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8[1] მუხლთან შესაბამისობაში.

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8[1] მუხლი: „ადვოკატი უფლებამოსილია განახორციელოს საკუთარი საქმიანობის რეკლამირება იმ პირობით, რომ გავრცელებული ინფორმაცია სწორია და არ არის შეცდომაში შემყვანი, დაცულია პროფესიის ძირეული ფასეულობები და პირდაპირ ან ირიბად არ მიუთითებს კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე.“

ადვოკატმა, საკუთარი საქმიანობის რეკლამირებისას, უნდა დაიცვას ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8[1] მუხლით დადგენილი პირობები. კერძოდ, რეკლამაში ასახული ინფორმაცია, რომელიც ეხება ადვოკატის საქმიანობას უნდა იყოს სწორი და არ უნდა შეიცავდეს ისეთ ინფორმაციას, რომელიც შეცდომაში შემყვანი იქნება; ასევე, ადვოკატის საქმიანობის რეკლამირება უნდა განხორციელდეს პროფესიის ძირითადი ფასეულობების შესაბამისად; რეკლამაში არ უნდა იყოს პირდაპირი ან ირიბი მითითება სხვა ადვოკატის შესახებ ან ამ ადვოკატის მომსახურების თაობაზე.

საადვოკატო საქმიანობის რეკლამირების საკითხის რეგულირებას, ასევე, ახდენს ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და იურიდიული საბჭოს (CCBE) მიერ ევროპელი ადვოკატებისთვის მიღებული ქცევის კოდექსის 2.6.1 მუხლი, რომლის მიხედვით, „ადვოკატი უფლებამოსილია საზოგადოებას შეატყობინოს მისი საქმიანობის შესახებ იმ პირობით, რომ ინფორმაცია სწორია და არ არის შეცდომაში შემყვანი, კონფიდენციალურობის ვალდებულებისა და სხვა ძირეული ფასეულობების გათვალისწინებით.” ადვოკატი თავის საქმიანობას უნდა ახორციელებდეს კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად. ადვოკატის საქმიანობის რეკლამირება სწორედ პროფესიული საქმიანობის ძირითადი პრინციპების დაცვას გულისხმობს.

რეკლამის ცნებას განსაზღვრავს „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის 1–ლი პუნქტი, რომელიც განმარტავს, რომ რეკლამა არის „საქონელზე, მომსახურებასა და სამუშაოზე (შემდგომში–საქონელზე), ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, იდეასა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განსაზღვრული წრისათვის და ემსახურება ფიზიკური და იურიდიული პირების, საქონლის, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას.“

იურიდიული ფირმის მიერ გავრცელებული ტექსტი არის რეკლამა „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, ვინაიდან არის გავრცელებული ინფორმაცია მომსახურებაზე, ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, გამიზნულია პირთა განსაზღვრული წრისათვის, ემსახურება საქონლისადმი ინტერესის ფორმირებასა და რეალიზაციის ხელშეწყობას.

ეთიკის კომისიის დისციპლინურ კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატის შეკითხვაში მოყვანილი ფრაზები „...პირველ რიგში მოგვმართეთ ჩვენ...“, „ჩვენი გუნდი ..... მოამზადებს სასამართლო სტრატეგიას, რომელიც იქნება საუკეთესო გამოსავალი და მომავალი მოგების საწინდარი“, „საუკეთესო იურისტები“, „ჯგუფის შემადგენლობაში ყოველთვის შედის ადვოკატი ფინანსური განათლებით, რაც ფინანსური დავების მოგების საწინდარია“, „თუ გჭირდებათ საუკეთესო ადვოკატები სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ დავებში“, „The best lawyers of Georgia“, „თქვენს ინტერესებს დაიცავს პროფესიონალი იურისტები, რომლებიც გარდა იმისა, რომ თავისი საქმის საუკეთესო სპეციალისტები არიან...“, უსაფუძვლოდ

პრეტენზიულია ვინაიდან შეუძლებელია იმ ობიექტური კრიტერიუმების დადგენა, რითაც რომელიმე ადვოკატი ან ადვოკატთა ჯგუფი შესაძლოა მიჩნეული იქნას საუკეთესოდ, ანუ ყველა სხვა დანარჩენ ადვოკატზე უფრო ძლიერად, თანაც დროის განუსაზღვრელ მონაკვეთში. შესაბამისად, ვინაიდან „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8[1] მუხლი ავალებს ადვოკატს საკუთარი საქმიანობის რეკლამირებისას გაავრცელოს სწორი და არა შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია, ზემოხსენებული ფრაზებით ილახება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დაცული სიკეთე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მითითებული ფრაზები შეიცავს ინფორმაციას პოტენციურ კონკურენტებზე, რომლებშიც მოიაზრება ყველა სხვა ადვოკატი და მიზნად ისახავს საკუთარი თავის წარმოჩენას სხვაზე უფრო უკეთესად. აქვე გვსურს განვმარტოთ, რომ ნებისმიერ ადვოკატს აქვს უფლება მიიჩნიოს საკუთარი თავი საუკეთესოდ, მაგრამ მისი სუბიექტური შეფასება არ უნდა შესთავაზოს პოტენციურ კლიენტებს (მომხმარებლებს) საკუთარი თავის რეკლამირებისას, როგორც ობიექტური საფუძვლის მქონე.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მითითებული ფრაზეოლოგია არ შეიცავს ინფორმაციას რეკლამის გამავრცელებელი ადვოკატის, თუ ადვოკატთა ჯგუფის მიერ საკუთარი პროფესიული თვისებების სუბიექტური აღქმის შესახებ (მაგ. „ჩვენი აზრით“, „მიგვაჩნია, რომ“ და ა.შ.), უნდა ჩაითვალოს რომ რეკლამის გამავრცელებლის მიზანია მომხმარებელს შეუქმნას აღქმა გავრცელებული ინფორმაციის ობიექტურობის შესახებ, რაც ზემოაღნიშნული განმარტების გათვალისწინებით უნდა ჩაითვალოს „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8[1] მუხლის მოთხოვნათა დარღვევად.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8[1] მუხლი შესაძლოა, ზოგადად, დაირღვეს იურიდიული ფირმის ხელმძღვანელი ან პარტნიორი ადვოკატების მიერ, ვინც მიიღო გადაწყვეტილება შეცდომაში შემყვანი სარეკლამო ტექსტის განთავსების თაობაზე.

დასკვნა:

იმ შემთხვევაში, თუ იურიდიული ფირმის ფეისბუქ გვერდზე მოყვანილია ფრაზები „...პირველ რიგში მოგვმართეთ ჩვენ...“, „ჩვენი გუნდი ..... მოამზადებს სასამართლო სტრატეგიას, რომელიც იქნება საუკეთესო გამოსავალი და მომავალი მოგების საწინდარი“, „საუკეთესო იურისტები“, „ჯგუფის შემადგენლობაში ყოველთვის შედის ადვოკატი ფინანსური განათლებით, რაც ფინანსური დავების მოგების საწინდარია“, „თუ გჭირდებათ საუკეთესო ადვოკატები სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ დავებში“, „The best lawyers of Georgia“, „თქვენს ინტერესებს დაიცავს პროფესიონალი იურისტები, რომლებიც გარდა იმისა, რომ თავისი საქმის საუკეთესო სპეციალისტები არიან...“, შესაძლოა დარღვევულად ჩაითვალოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8[1] მუხლის რეგულირება. აღნიშნული მუხლის მიხედვით, ადვოკატის საქმიანობის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია უნდა იყოს სწორი და არა შეცდომაში შემყვანი, ასევე, პირდაპირ ან ირიბად არ უნდა მიუთითებდეს კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე. შეკითხვაში აღნიშნული ფრაზები, სავარაუდოდ, არღვევს აღნიშნულ რეგულაციას, რადგან მიუთითებს ადვოკატთა გარკვეული ჯგუფის საუკეთსოობაზე იმ დროს, როდესაც შეუძლებელია იმ ობიექტური კრიტერიუმების დადგენა, რითაც რომელიმე ადვოკატი ან ადვოკატთა ჯგუფი შესაძლოა მიჩნეული იქნას საუკეთესოდ, ანუ ყველა სხვა დანარჩენ ადვოკატზე უფრო ძლიერად, თანაც დროის განუსაზღვრელ მონაკვეთში. ასევე, მითითებული ფრაზები შეიცავს ინფორმაციას პოტენციურ

კონკურენტებზე, რომლებშიც მოიაზრება ყველა სხვა ადვოკატი და მიზნად ისახავს საკუთარი თავის წარმოჩენას სხვაზე უფრო უკეთესად.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში, როგორც ერთ-ერთ წყარო.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ციცინო ცხვედიანი/

კოლეგიის წევრი: /გოჩა სვანიძე/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/